წელიწადი I-ლი

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი

ფასი 15 მ.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი ტოლია ბეჭდვითი.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინესკ. პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაგესკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

ერთიანი ბიბლიოთეკა

№ 22 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 22

ელექტრო თეატრი „ა ბ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბრავალ-სხირტლაძის

ხუთშაბათიდან 7 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები ახალი სურათები

როგორ იხოცებიან ლითონისათვის.

(საშინელების ბრძყალებში). დრამა 3 მოქ. განთქმული მსახიობის გედევანოვის და ალვინა ნეისის მონაწილეობით.

დასასრულ **როგორ აგუნდავეგდა შურა თოვლს.**

მხიარული კომ. 2 ნაწ.

ანონსი: ორშაბათიდან 11 ოქტომბრიდან იქნება ნაჩვენები ანდრეი კორნელის, დრამა პოლ ბურჟეს რომანიდან 4 ნაწ.

ახლო მომავალში ნაწვენები იქნება 1) ანნა კარენინა 2. კალიფორნიის **გ ე ი რ ი.**

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილათ **ცეცხლის თაყვანისმცემლები.**

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი

„ტ რ ი უ მ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი.

ოთხშაბათს 6 ოქტომბრიდან 1920 წელს იქნება ნაჩვენები ახალი მხატვრული სურათი.

მას იზიდავდა აბობოქრებული ზღვა.

მხატვრული დრამა 5 ნაწილათ, მოსკოვის მხატვრული თეატრის არტისტის ო. გზოვსკაიას, ვ. გაიდაროვას და ნ. პანოვის მონაწილეობით.

დასასრულ სანახავი სურათი **ხ ო რ ე პ ი.** მეცნიერული,

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზნულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილათ

ცეცხლის თაყვანისმცემლები.

განცხადება.

მუშათა მაგიდა 8 ოქტომბრიდან დაარიგებს:

1) შაქარი	სულზე	1 გირ.	რაფინადი 100 მან.
			ფხვნილი 50 მან.
2) ჩაი	„	1/4 გ	გირვანქა 150 მან
3) ბრინჯი	„	2 გირ.	„ 35 მან
4) მარილი	„	2 გირ.	„ 8 მან

მუშათა მაგიდა.

გერძენ მოახლეობის საყურადღებოთ.

ამ დღეებში მოხდება საზეიმო გახსნა ბერძნულ **დემოკრატიულ** პოლიტიკურ კლუბისა. მიიღეთ მონაწილეობა ამ ზეიმში, ჩაეწერეთ კლუბში.

საქართველოს ელლინთა ეროვნული საბჭოს რწმუნებული

კ. პოკანდოკულო.

გათუმი 7 ოქტომბერი.

ოსმალთა იერიშები სომხეთზე გრძელდება. სომხურ ცეველე ბანაკის უწყებით სომხეთის ასპარეზზე იბრძვის ორი დივიზია რეგულიარული ლაშქარი. ქემალ ფაშის გეგმა ცნობილია: ბაქოში მივლა, ისე როგორც 1918 წელს.

ყარსი, დაეცა სარიყამიშიც აღებულია, და ამ რიგად რესპუბლიკას უკვე შეურღვიეს სიმაგრის საზღვართა ბჭენი.

სომხეთის დამოუკიდებლობა მუხთალი ხელისგან სიკვდილს ელის. სომხეთის წაქცევით. მასზედ მტრის დაუფლებით, ამიერ კავკასიის რესპუბლიკის ოჯახს ეცლება ერთი ბარჯგი.

სომხეთის ბედი მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიის საფრთხეა.

საქართველოშიც ვერ ვიქნებით თავ დაზღვეული ოსმალთა შემოსევისგან. ომის ასპარეზი უშუამავლოთ შეეხება ჩვენს ტერიტორიას. ახალციხის მხარე, ბათომის ოლქი და თბილისის გუბერნია საეჭვოა, რომ მტერს გამორჩეს საომარ გეგმიდან.

ჯოჯოხეთია ჩვენი ყოფა ასეთ მეზობლების გადამკიდე.

ძველ დროს გვაგონებენ, როცა მუშა კაცს ერთ ხელში ბარი ეჭირა და მეორეში ზამბულაკი. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენი დემოკრატია ვის დაუთმობს ხალხის საყვარელ თავისუფლებას. თუ შავბნელმა დრომ მოითხოვა, ვინ არ გასწირავს თავს რესპუბლიკისთვის. ასი წლის ბებერიც ხმალს იკრავს ხელს სატრფო მიჯნურიც დაავიწყდებათ ახალ გზდებს. საქართველო რკინის ფოლადის ქვეყანაა, მასთან უსამართლო თამაში არ შეიძლება. მთავრობა, ჩვენი დემოკრატია ყოველ მხრივ ასწონ დასწონის მომენტს და ერს ააშორებს საფრთხეს ხვალისას.

სომხეთის კეთილშობილურ ბრძოლაში დამოუკიდებლობის დაცვისთვის თავდადების გზაზე საქართველოს დემოკრატიის თანაგრძნობა სომხეთის იქნება. ჩვენ მოუწოდებთ ყველა ქვეყნების სომხობას აღენთონ ეროვნულ გრძნობით და უშველონ დაღუპვის პირს მყოფ სამშობლოს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სომხის დემოკრატია ძალებს მოიკრებს და განაგრძობს თავდაცვითი ომს.

სომხეთზე იერიშების დროს საინტერესოა როლი მოსკოვისა და მოსკოვის ფილიალურ განყოფილების აღმოსავლეთის ინტერნაციონალის სამშობლოს, მეფლავეთა წითელ ბაქოსი.

ქემალთან თუ ბაქოც დაეცა თავს სომხეთსა, მაშინ მომენტი კრიტიკული იქნება, თუმცა მოსკოვს პოლონეთთან ზავის შეკვრამდე არავითარ დახმარების მიცემა არ შეუძლია სომხეთის დასაცავად. მაგრამ მაინც უაღრესად საყურადღებოა ქემალი მარტო იქნება თუ სოციალისტური ადერბეიჯანი ახლავე ამოუდგება მას გვერდში?

ყველა შემთხვევებში საქართველოს დემოკრატიას და მის მთავრობას დიდი თადარიგი და სიფხიზლე-სიფრთხილე სჭირია. გაუფრთხილდეთ ბათომის საზღვრებს, ყურადღება ახალციხის მხარეს და სტრატეგიული გარდახედვა ყარსის გზისკენ.

P. S.

წერილი უკვე აწყობილი იყო როცა სომხეთის კონსულმა გვაცნობა რომ სოციალისტურმა აზერბაიჯანმა უკვე დაწყო შეტევა სომხეთზე ყაზახის მიმართულებით.

პრესა.

გაზეთი „ნაციონალისტი“ და „საქართველო“

გაზ. „ნაციონალისტი“ სწერს:

მომარაგების სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის ვაწარმოებდით, მაშინაც კი, როდესაც „საქართველო“ საზაფხულოდ ისვენებდა.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „საქართველოს“ კამპანია მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ ყოველთვის შეკავშირებული იყო ხოლმე რაიმე „კომბინაციასთან“. სამინისტროების ცვლილების დროს, ანტრაქტებში, რაიმე „ხელშეკრულების“ გატარება უფრო ადვილია ხოლმე.

ასე იყო ბ. ქარცივაძის დროს, როდესაც ბ-ნ ასათიანს შეკითხვა შექონდა „სიბუნიონის“ შესახებ დამფუძნებელ კრებაში იმისთვის, რომ „კოსმოსთან“ ხელშეკრულება გაეტარებიათ სამინისტროში და აკი კიდეც გაატარეს.

ამბობენ, რომ „კოსმოსის“ ოპერაციების გარშემო გამდიდრებულ დატუჩებზე წითელ პომადა წასმულ რედაქტორებს გაზეთ „საქართველოსას“ კიდევ ერთი კარგი საკომისიო ხელშეკრულება ჰქონდათ გასატარებელი მომარაგების სამინისტროში, მაგრამ ბ-ნ გ. ერაძეს უარს ვერაფერი ვერ მოუხერხეს.

ვერ მოუხერხებდენ იმიტომ, რომ რაც უნდა არ ვაყვედროთ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, ერთს ვერ უარვყოფთ: მინისტრები ქრთამებს არ ღებენ.

და ამას კი ვურასოდეს ვერ ვიტყვით ეროვნულ-დემოკრატულ სამინიტრო კანდიტატებზე. ვინაიდან მათ სპეკულიანტურ კოლეგიას, ომისა და რევოლიუციის დროს რომ გამდიდრდა, ოფიციალურად ლიდერობს უდიდესი მექრთამე მთელს საქართველოში „თვითონ“ ნიკო ნიკოლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეროვნულ-დემოკრატების უბედურება, სწორედ იმაშია, რომ არა სოციალისტური და ეროვნული ინტელიგენცია არ ამოიწურება „საქართველოს“ რედაქციით, რომელიც „ფრასკატის“ საროსკიპო ბინაშია დღეს მოთავსებული, და ყველგან როგორც პრესაში, ისე პარლამენტში, ეროვნულ-დემოკრატებ მუდამ მზად უნდა იყონ, რომ მათ კულისების იქითა კომბინაციებს ფარდა აეხდება.

რაც შეეხება „კოსმოსის“ რწმუნებულის მასხარა—შვილის წერილს რედაქციის მიმართ,—მოკლედ მოგახსენებთ შემდეგს:

თუ „კოსმოსი“ ცილისწამებად სთვლის „ჟიუდეკსის“ წერილს, დაე მიმართოს მან იუსტიციას და იქ, სასამართლოს პროცესში, მასაც გავაგებინებთ, თუ რომელ გამომძიებელთან იყო მიწერ-მოწერა გ. ბერიძის შესახებ და მთელი საზოგადოებაც გაიგებს ბერიძის მილიონების პირველ ყოფილ დაგროვების ფრიად საინტერესო ისტორიას.

ეროვნულ დემოკრატების ერთი კომბინაციის ამბავი ბათომშიც იციან. ამ კომბინაციას 7 მილიონი აფასებს თურმე თავს.

საუბარი საგანგებო კომისართან გ-ნ გ. ჩხიკვიშვილთან.

(დასასრული).

საბინაო საკითხის და კერძოდ მოხელეთა დაბინავების შესახებ მე მაქვს უფლება უმაღლეს მთავრობისგან, რომ საჭიროების მიხედვით დაბინავდეს მოხელეები. ამ შემთხვევაში რეკვიზიციაც თუ აუცილებელი იქნება იმასაც მივმართავთ.

— ქალაქში და ზოგიერთ გაზეთებში გავრცელებულ ხმების გამო თითქოს მე სამხედრო მინისტრის პოსტზე მივეწვიე ცენტრს მართალი არ არის. მე მაქვს სურვილი საჩქაროდ დაუბრუნდე ქალაქის მოურავობას თბილისში. ამ დღეებში კი მოვემგზავრები აბასთუმანში დაზიანებულ ჯანმრთელობის დასაცავად. ჩემ მოვალეობის შესრულებას აქ შეუდგება გენერალი ზაქარია მდივანი, რომლის მუშაობაც ახლა საგრძნობლად გაადვილებულია, რადგან ადმინისტრაცია აბარია სულაქველიძეს. ვ. სულაქველიძეს ჩამოსვლამე დიდ იმედებს მაძლევს. მისი გამოშვება თბილისიდან არ უნდოდათ არც შინაგან საქმეთა მინისტრს და არც ქალაქის გამგეობას. სულაქველიძეს დიდი გამოცდილება აქვს მიღებული ადმინისტრაციაში, ის იცნობს თითქმის მთელ საქართველოს და ყველა მთელ ადმინისტრაციის შემადგენლობასაც, რადგან მის ხელში გაუვლია ამათ დიდ უმრავლესობას. ბათომის ოლქში რომ ჯერჯერობით მაინც აქვს ნაკლი ჩვენს ადმინისტრაციას, ეს იმით აიხსნება, რომ ბათომს მოაშურა ყველა იმ პირებმა, რომლებიც რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ვერ ჰპოულობდენ თავშესაფარს. ბათომის დიდმა ჯამაგირებმა ყველა აქეთ მოიზიდა. ვინც თბილისში არ ვარგოდა ის ბათომში წამოვიდა, მომავლის მუშაობაში ამას უდიდესი ყურადღება მიექცევა და ამ მოვლენით მოტანილი არა სასურველი შედეგი შემდეგ გამოსწორებული იქნება.

საქართველო და იტალია.

გაზ. „მესადეერო“-ში დაბეჭდილია შემდეგი საუბარი ე. ბ. გეგეჭკორთან:

ე. ბ. გეგეჭკორმა აღნიშნა საქართველო—იტალიის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც დიდათ აფასებს ქართველი ხალხი და თქვა, რომ საქართველოს აქვს სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც სჭარბობს მის მნიშვნელობას, როგორც ტერიტორიალური ერთეულისას.

საქართველო, შეიძლება ითქვას, არის მთავარი ჭიშკარი, რომელიც ლია ევროპისათვის აღმოსავლეთში სპარსეთში და თურქესტანში.

საქართველო—ნედლი მასალით ძლიერ მდიდარი მხარეა; მას შეუძლია მიაწოდოს ევროპას ნახშირი, ნავთი, ხე-ტყე, შავი ქვა და სხვა მინერალები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიის მრეწველობისათვის. იტალიამ უკვე გამოიჩინა ამ მხრივ ერთგვარი ინიციატივა, მას დარჩენია მხოლოდ გააფართოვოს და განაგითაროს თავისი პროგრამა „მე იმ მოლაპარაკების კურსში ვარ, სთქვა ე. ბ. გეგეჭკორმა, რომელიც სწარმოებს შავი ზღვის ნაპირებზე შავი ქვის მადნეულობის ექსპლოატაციის საკითხის შესახებ. და მაქვს საბბი ვიფიქრო, რომ მოლაპარაკება დამთავრდება ორივე მხარეების სრული დაკმაყოფილებით“.

შემდეგ ე. ბ. გეგეჭკორი შეეხო შეერთებულ შტატების სტატს-სეკრეტარის ცნობილ ნოტას და თქვა: „ქართველ ხალხს აქვს 2.000 წლის ისტორია და 1783 წ. ნებაყოფლობით შეურთდა რუსეთს, ვინაიდან საშველობა არ ქონდა ეწარმოება განუწყვეტელი ომები სპარსელებთან და ოსმალებთან. ხელშეკრულებით საქართველოს უნდა შეენარჩუნებია თავისი ავტონომია. მაგრამ უკვე 1801 წელს ეს ხელშეკრულება დარღვეული იქმნა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბჭოთა ისე დენიკინის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა დენიკინი ატარებდა პოლიტიკას რომელიც ძლიერ გავდა ყოფილი მეფის მთავრობის პოლიტიკას. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა რეალური ფაქტია. დიდი რუსეთის ქაოსს საქართველომ დუპირდაპირა ორგანიზაციობა, კარგათ მოწყობილი ადმინისტრიცია, ძლევამოსილი ჯარი, მოწყობილი რკინისგზები და ეკონომიური აღმაშენებლობა, რომელიც მტკიცდება.

მგონი, არც ერთ პოლიტიკურ ნოტებს არ შეუძლია მოსპოს ყველაფერი ეს.“

ქრონიკა.

◆ გუშინ საგანგებო კომისარი გ ნ ბენია ჩხიკვიშვილი ორთა ბათუმს და სოფ. ყოროლისთავში გაემგზავრა.

◆ თათბირი, დღეს საგანგებო კომისართან დანიშნულია ბათომის სასურსათო საქმის შესახებ. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების გამგე ბ. პეტროსიანცი გააკეთებს მოხსენებას სასურსათო საკითხის მდგომარეობის შესახებ ქალაქში.

◆ ართვინის საქალაქო არჩევნები გადაიდვა, ვინაიდან მუსლიმანი მცხოვრებნი არჩევენ ძველ „ვექილების“ წარმომადგენლობის სისტემას.

◆ გრძელი რიგები ქალაქის ნავთის საწყობებთან შემცირდა. ახლო მომავალში მცხოვრებთა ნავთით უზრუნველ ყოფის საქმე სასურველათ მოეწყობა.

◆ გუშინდელი დღის განმავლობაში შავი ჭირით არავინ გამხდარა ავათ.

◆ 26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდი შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრის მოწმობების თვის მიღებულია 400.000 მ.

◆ საზ. „პრომეტეის“, ბერძნულ ლიტერატურული საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა გაიხსნას საზოგადოების კლუბი. მოსმენილ იქნა გამგეობის მოხსენება და დამტკიცებულ იქნა საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა.

გამგეობის არჩევნები მოხდება კვირას, 10 ოქტომბერს.

◆ 6 ოქტომბერისთვის დანიშნული იყო მარიგი სხდომა ბათომის ყველა სანიტარულ ექიმებისა

◆ საბინაო კომისიის თავმჯდომარემ ირ. დიდიძემ პატაკით საგანგებო კომისარს სთხოვა ამ თანამდებობიდან განთავისუფლება. საგანგებო კომისარმა თხოვნა არ შეიწყნარა.

უკანასკნელი ცნობები

სომხეთი და აზერბაიჯანი.

— უკანასკნელათ მიღებული ცნობით სოციალისტურმა აზერბაიჯანმა უკვე დაიწყო სამხედრო მოქმედება

სომხეთის ერის ტრაღედია

„ჰაოსი და ქართლოსი!“ რამდენ ჯერ გაგვიგონია ეს ორი სიტყვა, მრავალ-მნიშვნელოვანი და მრავალ-მეტყველი! რამდენ სწავლულია და მეცნიერს უმტვრევია თავი, უთენებია ღამეები, უძებნია და უხსნია ათასნაირი წარწერები, უთხრია საფლავები და ნანგრევები, რომ გაეგოთ ნამდვილი შინაარსი ამ ორი სიტყვისა, რომ გადაჭრით და მეტის დასაბუთებით ეთქვათ რომ მართლაც ეს იყო ორი ძმა! გაიყარნენ, განშორდენ ერთმანეთს, სხვა და გზას მიმართეს, მაგრამ სისხლითა და ხორცით მონათესავენი დარჩენო!

ქართლოსი ჩრდილოეთით დაემკვიდრა, ჰაოსი სამხრეთით მოექცა და და იწყეს ცალ-ცალკე ცხოვრება. შეიქნა ქართლი, შეიქნა ჰაისტანი. ორივე ბედნაკლული, ორივე შარაგზაზე დასახლებული! ამ ევმოდნენ ერთსაც და მეორესაც ხალხთა ურდოები, თელავდენ, ჯიჯგნიდენ, გაივლიდენ ცეცხლითა და მახვილით, სტოცებდენ სისხლის ნაკვალევს, სტოვებდენ თავის ნაფლეთებს ამ გზა-ჯვარედინზე, ურევდენ სისხლს და იყო ასე მუდმივი ჭიდილი შემოსეულთა და მკვიდრთა შორის. ვერ გაუძლო ურდოებთა თარეშს, ჰაისტანმა და ბაგრატიდთა დიდი სამეფო, გვირგვინოსანთა ტაძარი შეირყა. ტახტი, რომელსაც თვით ქართლისათვისაც მიუცია გვირგვინოსანთა შტო, დაინგრა და ყიზილბაშთაგან შეიმუსრა. იწყება ჰაისტანის დიდი ტრაგედია. საუკუნეთა განმავლობაში კვნესის ძე ჰაოსისა, სტოვებს საკუთარ კერას, მიემართება სხვა კუთხეებში თვით ამერიკამდე და იქიდან ცდილობს არ დავიწყოს „ანის ქალაქი,“ დანგრეული ტაძარი, განიავებული კერა! მახსოვს, მგონია ამერიკის სომეხთა კოლონიამ გამოგზავნა არწრუნის კუბოს წინ წასამძღვარებლად ოქროს დიდი ფრთის კალამი! მუდამ ცდილობდენ სომხეთის შვილნი, გაბნეულნი პირსა ზედა ქვეყნასასა, არ შეეწყვიტათ კავშირი მამის ქვეყანასთან, ეხმარებოდენ ოქრო და ვერცხლით ოსმალოს მონობაში მყოფ მოძმეთ და არა ერთხელ ცდილან სომხეთის უბედურებისთვის ყური მიეცათ „უფროს ძმებს“—განათლებულ ევროპიელთ.

რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ ამ ორმოცდა ორი წლის წინეთ, თითქოს კიდევაც უნდა ვადაწყვეტილიყო სომხეთის საკითხი, თითქოს კიდევაც დაისვა ის ბერლინის კონგრესზე დღის წესრიგში, მაგრამ ყოველივე ცდამ ამაოთ ჩაიარა. განაწამებ ერს მას შემდეგ „გასისხლიანებულმა სულთანმა“ აბდულ-ჰამიდმი არა ერთი და ორი შავი დღე გაუთენა: მუში, სასუნი, ზეითუნი! რამდენი უბედურების მნახველია, რამდენ უმანკო ბავშვთა სისხლით არის შეღებული ამ ვილაეთების მთანი და ველნი! რამდენი დედის ძუძუ დაიჩეხა, რამდენი ჩჩვილი მუცლიდან გამოუფატრეს სომხის ქალებს და ეს მარტო იმისთვის, რომ ისინი სომხები იყვნენ! მხოლოდ იმ აზრით, რომ კიდევ არ ეშვათ და არ აღეზარდათ „გიაური“.

ასე მიდიოდა საქმე დღემდე. ამ მსოფლიო ომმა სომხეთ საც არგუნა მრავალ-საუკუნეთა განმავლობაში ყოფნის შემდეგ პოლიტიკური თავისუფლება. სადღაც შორს დაიწყო კიანთი სომხეთის ბედის ვარსკვლავმა და ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა სომხეთი სისხლისაგან თითქმის დაიცალა გამძვინვარებულ ოსმალეთის ჯარების თარეშის წყალობით. ჩვენ არ დავეძებთ აქ იმ შეცდომებს, რაც სომხეთის ხალხის ვითომდა მესვეურთ ჩაუდენიათ; არ ვაკრიტიკებთ ამ ხალხის ბედის გამკითხველ „დაშნაკცუთუნის“ პარტიის ზოგიერთ შემცდარ ნაბიჯებს ოსმალეთში და თვით ქართლოსიანთა საბუდარ ადგილებშიც. არ გვინდა ეს გავიხსენოთ ამ წერილში! დღეს, როდესაც მცირე აზიის ურდოები ისევ დაიძრენ ყარა-ბექირ ფაშის მეთაურობით, დღეს როდესაც განაწამებ სომხეთის ერს ისევ „სისხლის აბანოებს“ უმზადებს მოზღვავებული უკულტურო მოძალადე, ჩვენ გვინდა თანაგრძნობით და გამამხნევებელი სიტყვით მივეგებოთ გაჭირვებაში მყოფ მეზობელს. ჩვენ არ ვერჩით არავის, არ გვინდა ოსმალოსთან დავა და შური, მაგრამ როცა ის სომხეთს ემუქრება, ქართლოსიანთა სახელმწიფოს ცხოვრება ვერ იქნება დაშვებული, ქართელი ვერ იქნება გულდადობილი და მოსვენებული. ქართლის შვილთ მაშინ სოლანლუღის გზა მოაგონდება და ნება უნებურად აღიმართება ჩვენს წინაშე ძველი ისტორიული საფრთხე, სხვა რომ არა ვსთქვათ რა.

ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ ჩვენს მეზობელს კარზე მომდგარი საფრთხის აცდენას და ომის ცეხლისგან გადარჩენას! ჩვენი თანაგრძნობა არ შეიძლება მათთვის აქ დავიშუროთ, მაგრამ ამას გარე შეც დროა უფრო ნამდვილ საშუალებების შესახებაც ვიფიქროთ. დროა განმტკიცდეს კავშირი სომხეთ—საქართველოს შორის: წაშლილი და გავიწყებული უნდა იქნას ყველა შეცდომები და დაჩქარებით შეიკრას ორ მოძმე ერთა შორის მოგერიებითი კავშირის პირობა, თორემ ყარა-ბექირები ჯერ კიდევ დიდ ხანს იარსებენ მცირე აზიაში და არა ერთჯერ შეეცდებიან ძველი გზით გამოსვლირნებას იმ კუთხეებისკენ, სადაც მაჰმადს სამოთხე უგულვებია, სადაც უმშვენიერესი გურიები იმყოფებიან. და რაც უფრო ადრე მოხდება შეთანხმება ორ მეზობელთა შორის, მით უკეთესი იქნება ორივესთვის, მით უფრო მეტი მედი იქნება ორივე ერის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარებისა.

ვ. სე—ლი.

სომხეთის წინააღმდეგ. აზერბაიჯანის „წითელი“ ლაშქარი ყაზახის მიმართულებით ესხმის თავს სომხეთს.

სომხეთი.

გუშინ სომხეთის კონსულმა ჩვენს თანამშრომელს აუწყა, რომ სომხეთის ჯარი ყველგან სახელოვნად და დისციპლინით იბრძვის.

— ამ ჟამად ფრონტი გაჭიმულია ოლთისიდან იგდირამდე ყარსთან შეხებით.

სომხეთის სარდლობას განძრახვა აქვს მტერს ყარსთან გაუმართონ გენერალური გადამწყვეტი ომი.

— ამ დღეებში სომხეთის კონსული გამოსცემს მოწოდებას სომეხ ხალხისადმი.

— სომხეთში სხვა და სხვა კუთხეებიდან დიდ ძალი მოხალისეები მოდიან.

ფრონტზე.

ნ. ბარაყამიშთან სომხეთის ჯარის მედგარი შეტევით ოსმალთა ჯარები სასტიკად დამარცხდენ მტერი ბრძოლის ველიდან გარბის, სომხეთის ჯარი წინ მიიწევს.

ბარდუსის მიმართულებით მზვერავთა მოქმედება. ოსმალთა ჯარებს დიდი ზარალი აქვთ.

კარავანსარაის მიმართულებით ჩვენი ჯარმა სიმაგრე სალელიში დაიკავა.

ოლქში.

— ტელეფონით სარფიდან გვატყობინებენ: გონიაში, სარფში მაკრიანში და ლიმანში თაკისუფლად შემოდიან პროვოკატორები, ხალხს აღელვებენ და მართავენ თურქულ სკოლებს. ქადაგებენ, რომ სამშობლო სკოლებში ბავშვები არ მისცენ საჭიროა ამ ბოროტ ხალხის წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქმნა მიღებული.

ძველი დღიურიდან.

თოკლში ვართ ჩაფლული... ცხენები დავარდენ, ჯარი მოიქანცა. საქართველოს ცა ღრუბლიანია...

ერუანტელი უტკბესი დაირბენს სხეულში, სახე მიიღებს მრისხანებას, ხელს ავიღებთ ხმალს და, ვითა მორწმენი მეჩქისა ახლოს, ისე შეღაღადებთ საშობლოს საზღვარს!..

რა ნეტარია ეს დრო, რა წყნარია ეს ღამე. ამ ღამით მგლებიც კი დაფრთხალნ აქ ჩვენი მისვლით... არა ღმუიან.

აქ შევხვდით ძველ ათაბაგების რაინდ ვაჟებს... ერთ საათს ვკოცნიდით ერთმანეთს... ფიცი, ერთგულება ესმოდა ყურებს.

ოჰ რა ლამაზი და შნოიანი მეგონა მაშინ სიცოცხლეს!...

შევიყარენით ერთ გავერანებულ ძველ ოდაში და ვბჭობდით თუ როგორ გვეშველნა სამშობლოსთვის ქრისტიანმა და მუსლიმანმა ქართველმა კიდევ დიდხანს ჰკოცნა ერთმანეთი...

გულში ჩაიდო ძიების ცეცხლი და ჩვენც მივქროდით ოცნების მეღნით...

ცა ღრუბლ ანდებოდა... ოცნების ფრთები იკვეცებოდა.

ირაკლი.

მურღული.

ბათომის ქართული თეატრი.

თეატრი, პოეზია ერთი დიდი და ყურადსაღები ნაკადია კულტურული ცხოვრებისა. როგორია საზოგადოებრივი მდგომარეობა, განიცდის ის დაცემას თუ მაღში ძალა თვით არსებობისა ბაგრათ ცემს, ხელოვნება იფურჩქნება, იზრდება და ძლიერდება. როგორც ცხოვრება დაუდგომელია, იცვლება და ახალ საფუძველზე ეწყობა, ისე ხელოვნება მუდმივ ცვლილებას განიცდის, ახალ სახეს პოულობს, ახალი ფერებით ღებება.

ხელოვნებას ასაზრდოებს ის საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ჩასდგომია სათავეში ჩვენ საზოგადოებრივ ყოფ ს და ხელოვნებაც მას ხატავს, მას უგალობს.

თეატრი, ლიტერატურა იკვებება დღეს არსებული ყოფით, მაგრამ თავის მხრივ ხელოვნებაც აჩენს კვალს ჩვენს ცხოვრებას და მათი მნიშვნელობა საზოგადოებრივ განვითარების მსვლელობაში დიდია.

რუსეთის ბატონობის დროს ჩვენი კულტურული ცხოვრება სუსტი და მდარე იყო; ვიცით რუსეთის პოლიტიკა ჩვენში გარუსების ტენდენციით ისაზღვრებდა და ყოველგან რუსული ენა ბატონობდა. როგორც კი ბავშვი გამორდებოდა თავის კერას, ყოველგან რუსული ენა ესმოდა, რუსულ გავლენას განიცდიდა. ჩვენ სავსებით დავემორჩილეთ რუსულ კულტურას და რუსული თეატრი, რუსული ლიტერატურა ჩვენ მოთხოვნილებათ გადაიქცა. არც ჩვენი ცხოვრება, არც ის საზოგადოებრივი კლასი, რომელის პირველობა სოციალურ ყოფაში თვალ-საჩინო იყო, ხელს არ უწყობდა ჩვენი ეროვნული ხელოვნების ზრდა-განვითარებას. ჩვენი ლიტერატურა სუსტი იყო, ჩვენი თეატრი ძლივს არსებობდა.

თუმცა უნდ ვაღიაროთ, რომ ლიტერატურამ, განსაკუთრებით ჩვენმა თეატრმა ეროვნული საზრდო მისცა ჩვენ ხალხ . მხოლოთ ჩვენ თეატრში ისმოდა ქართული ენა, ჩვენი თეატრი გვაგონებდა ჩვენი წარსული ცხოვრების ბრწყინვალე მომენტებს და ჩვენი დემოკრატია ქართულ თეატრში ისმენდა ახალ სიტყვებს

ჩვენი თეატრს არ წყალობდა წარჩინებული საზოგადოება, ჩვენი თეატრი დემოკრატიული იყო, ჩვენ თეატრს განსაკუთრებით დემოკრატია ეტანებოდა. დღეს ჩვენ ყოფა-ცხოვრებას დემოკრატია დაეპატრონა, მისია პირველობა სოციალურ ვითარებაში, ის ამოძრავებს ჩვენს წინმსვლელობას, მისგან არის დამოკიდებული ჩვენი ხელოვნების მომავალიც. მართალია, ხელოვნება იმდენათ გაიშლის ფრთებს, მდიდარი და ძლავრი შეიქნება თავისი შინაარსით, რამდენათ თვით ჩვენ ცხოვრების მაჯისცემა ჩქარი და მრავალ ფეროვანი იქნება, მაგრამ ჩვენი თანაგრძნობა ჩვენ თეატრს ესაჭიროება, და ჩვენი მზრუნველობა მასზეც უნდა გავავრცელოთ.

ბათომი სულ რ მდ ნიმე თვეა რაც საქართველოს შემოუერთდა, ბათომი საქართველოს ერთი დიდი ქალაქთაგანია და აქ ქართული ტეატრის არსებობა მუდმივ უნდ გავხადოთ.

აქ არსებობს საზოგადოება, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ქართული წარმოდგენების მართვა, ეს წრე ჩ ნ ა ახია აქ ჩვენი თეატრის მტკიცე ნიადაგზე დაყენებ სა და ჩვენი ვ ლია ამ საზოგადოებას ყოველ მხრივი დახმარება გაუწიოთ. მას ესაჭიროება ნივთიერი დახმარება, ასეთი დახმარება ქალაქი თვითმართველობამ უნდა მისცეს. მას ე აჭ რ ება თანაგრძნობა და სათუთი მოპყრობა—საზოგადოება ვალდებულია ის მიიღოს და მასზე ზრუნვა გასწიოს. თეატრის ესაჭიროება მსმენელები, ჩვენი დემოკრატია მას მისცემს აკეთებს და თუ ასეთი თანაგრძნობით ჩვენი თეატრი შეკმოსილ, მისი არსებობის ნიადაგი გათბება, ძირს მოიმაგრებს და მისი არსებობა და სიმტკიცე უზრუნველყოფილი იქნება. ქართული თეატრი ბათომში უნდა არსებობდეს და ჩვენი დემოკრატიის თანაგრძნობით ის იარსებებს.

კ. ქაგთარაძე.

კარლ კაუცკი თფილისში.

3 აქტომბერს თფილისის მუშათა კლასი შეხვდა საერთაშორისო პროლეტარიატის უბადლო ბელადს—კარლ კაუცკის და თავისი აღფრთოვანება-სიხარული გამოსთქვა მის წინაშე მისი საქართველოში ჩამოსვლის გამო.

დილის 10 ს. ქალაქის განაპირა უბნებიდან მუშებმა იწყეს დენა მწყობრათ, მუსიკითა და წითელ დროშებით მუშათა სასახლისაკენ. აქვე თავი მოიყარა გვარდიამ, დაბალ და საშუალო სასწავლებლების მოწაფე,—მასწავლებლებმა და მრავალმა მოქალაქემ. მუშათა სასახლეზე წითელი დროშები ფრიალებენ; ასეთივე დროშები ამშვენებენ მთელ სასახლეს. სხვა და სხვა ადგილას მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს.“

12 საათზე მთელი პროცესია გაემართა ერმალოვის ქუჩით პეტრე დიდის ქუჩისაკენ, სადაც მოთავსებულია კარლ კაუცკის ბინა. როდესაც პროცესია აღნიშნულ ქუჩაზე მივიდა —თავის სადგომ სახლის აივანზე გამოჩნდა კარლ—კაუცკი დაბალი ტანის მოხუცი, სრულიათ გათეთრებული, მაგრამ მხნე და სახის ენერგიული გამომეტყველებით, მას გვერდით უდგას მისი მეუღლე—ლუიზა კაუცკი, ნოე ჟორდანია, აკ. ჩხენკელი და სხვ.

ნახევარი საათის შემდეგ პროცესია მიდის თავის უფლების მოედნისაკენ, სადაც მოწყობილია საგანგებო ტრიბუნა მუშებმა კაუცკი ხელში აიტაცეს, ხელით მიიყვანეს ტრიბუნამდე და დასვეს ესტრადაზე; აყვევ აიყვანეს ტრიბუნაზე ნოე ჟორდანია. მთელი თავისუფლების მოედანი სავსეა ხალხით. დაუსრულებელი ტაშის ცემა და „ვაშას“-ს ხმა აპობს ჰაერს. აღფრთოვანება განუსაღვრელია.

მიტინგს ხსნის სოც.-დემ. პარტიის სახელით მცხოვანი რევოლიუციონერი, მოხუცი სილიბისტრო ჯიბლაძე. რომელმაც ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: ბედნიერნი ვართ თქვენის ხილვით ჩვენ, თქვენი ერთგულნი მოწაფეები! მარა კიდევ უფრო ბედნიერი ხართ თქვენ, ჩვენო მეორე კარლოსო პირველი კარლოსის, დიდი კარლოსის ღირსეულო იდეურო მემკვიდრევ! თქვენ უხვათ მკით თქვენი დაუღალავი, თქვენი მადლიანი შრომის ნაყოფს არა მარტო იქ—კულტურულ ევროპაში! თქვენ მიერ იქიდან გადმოსროლილმა მეცნიერულ სოციალიზმის თესლმა იპოვა პოხიერი ნიადაგი აქაც—ველურ აზიის ამ შესავალ ყელშიაც!

კიდევ მოგესალმები და გისურვებ დღეგრძელობას მთელი მშრომელი ქვეყნის საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ!

გაუმარჯოს საერთაშორისო წარღვნით დასერილს და დაუძლურებულ მუშათა ინტერნაციონალის აღდგენას!

გაუმარჯოს მის საამაყო ბელადს—ჩვენს ძვირფას კარლოს კაუცკის!

(ხანგრძლივი ტაში)

ს. ჯიბლაძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნოე რამიშვილმა.

შემდეგ სიტყვა ამბრძოს ამხ. კარლ კაუცკი, რომელსაც ზერვა ხალხი ოვაციებს უმართავს. შისი სიტყვა ქართულათ სთარგმნის ამხ. დ. მარაშიძე,

კარლ კაუცკის სიტყვა.

როდესაც ბათომში ჩამოვედი, თვით ბათომში, ბათომიდან თფილისამდე და შემდეგ უფრო მომეტებულათ თფილისში მე ვარ მოწამე დიდი დემონსტრაციებისა, შეხვედრისა და მისალმების. გიძღვნით გულითად მადლობას. მე გამოვსთქვამ რწმენას, რომ ყველაფერი ეს გამოხატულებაა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობისა. მე აქ მაგონდება ის, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში ამ 60 წლის წინათ. მაშინ ფერდინანდ ლასალი მოგზაურობდა გერმანიაში და ყველა ქალაქში და სოფლებში მას ეკებინდენ მუშები ეს იყო მუშათა ძლიერების გასინჯვა, მუშების პარადი. მაგრამ აქ შთაბეჭდილება გაცილებით უფრო დიდია: იქ მაშინ ახალ ჩასახული იყო სოც.-დემ პარტია; იგი მარტო ფერდინანდ ლასალზე ემყარებოდა. აქ კი ამ არმიას ჰყავს არა მარტო ერთი ბელადი, არაედ მრავალი, რომელთაც უყვართ ხალხი და რომელთაც უკანასკნელიც ენდობა. ასეთ ბელადებით ბევრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ უკეთესია არმია, მასსა, რომელიც თვით არის გაწრთვნილი. მაშინ იქ მუშათა კლასი ახალ ფეხ-ადგმული იყო, არ იყო გამოცდილი ბრძოლაში და ლასალის სიკვდილის შემდეგ პარტიის მუშაობაც შესუსტდა. აქ კი თქვენ გაქვთ გამოცდილება ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ. ბრძოლის ტრადიციამ შეჰქმნა რწმენა, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს მომავალ ბრძოლაში. მე მრწამს, რომ ამ შეგნებით, რწმენით თქვენ გამარჯვებას მიაღწევთ. ბევრი გქონდათ წარსულში გამარჯვება და ბევრი მოგელით მომავალშიაც.

თქვენს წინ შეიძლება ორგვარი სიძნელე აღიმართოს; ერთი სიძნელეა საერთაშორისო ხასიათის; აქ თქვენ უნდა დაგეხმაროთ ინტერნაციონალი, აქ საკუთარი ძალა არაა საკმაო. მეორე სიძნელე საშინაო ხასიათისაა; აქ თქვენ გაქვთ საკმაო გამოცდილება და ყველაფრის გაკეთებაც შეგიძლიათ. გისურვებთ გამარჯვებებს მომავალში ისე, როგორც წარსულშიც!

მქუხარე ტაში და ოვაციები ჰფარავს კაუცკის სიტყვას. მუსიკა უკრავს «ინტერნაციონალს.»

ამხ. ს. ჯიბლაძე კიდევ ესალმება კაუცკის. უსურვებ მას დღეგრძელობას და მიტინგს დიხურულათ აცხადებს.

(„ე—ბა“).

სომხეთი.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობა.

ფრონტზე.

ოსმალთა ცდა რესპუბლიკის ჯარების მარჯვენა ფლანგზე შეტევისა, გზის მოსაჭრელათ უშედეგოთ ჩაიარა და მოვიგერიეთ. მკაცრი ბრძოლა სწარმოებს ნოვო-სელიმთან, სადაც ოსმალები დიდი ძალებითი არტილერიის დახმარებით შეტევაზე გადმოვიდენ. შეტევა მოვიგერიეთ. ოსმალთა ჯარები წინ მიიწევენ იგდირის მიმართულებითაც. ამ ჟამად იქ ბრძოლა სწარმოებს.

ამ რიგად ოსმალთა ჯარები შემოიკრენ რესპუბლიკაში სომხეთ-ოსმალეთის საზღვრის მთელ ხაზზე. ოსმალებმა, რაოდენობითი სიმრავლის და აგრეთვე თავდასხმის სისწრაფის და მოულოდნელობის გამო, შესძლეს ჩვენი ჯარების შევიწროება, მაგრამ სომხეთში არავის არ ეპარება ეჭვი საბოლოო გამარჯვებაში. ჯარების სულიერი განწყობილება საუცხოოა. იმ რაიონის მცხოვრებნი, სადაც თავდასხმა მოსალოდნელია, შეტევას დამშვიდებულნი შეხვდენ. მიმენტის სერიოზულობის სრული შეგნებით.

მოხალისეების ჩიწერა საუცხოოდ მიმდინარეობს.

ქემალისტები ყველა მათ გაჯარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალებით დაგვესხენ, დატოვებულია მხოლოდ მცირე რეზერვები სტრატეგიულ პუნქტებში.

მდგომარეობა ოსმალთა შეტევის შემდეგ.

სომხეთის რესპუბლიკის მთელ ტერიაზე სამხედრო წესებია გამოცხადებული

გამოცხადდა მობილიზაცია 35 წლამდი.

მეექვსე დღეა რაც თფილისთან სატელეგრაფო კავშირი შეწყვეტილია.

სომხეთის რკინის გზებზე სამხედრო წესები გამოცხადდა.

დღის ლოზუნგებია:

„სამშობლო განსაკიდელშია, ყველა ფრონტზე, ყველაფერი ფრონტისითვის-"

ყოველგან ხდება მოხალისეების ჩაწერა.

კოოპერატიული ცხოვრება.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივი.

5 ოქტომბერს ქალაქის ოვითმართველობის დარბაზში შედგა სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება, რომელიც, მიუხედავად, იმისა, რომ კოოპერატივი არსებობდა, დამფუძნებელ კრებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ბათომის საქართველოს ხელში გადმოსვლის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შემადგენლობა დიდათ შეიცვალა, და კოოპერატივს, რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს—სახელმწიფო მოსამსახურეთათვის საჭირო საგნების შეღავათიან ფასებში მიწოდება, ახალი ჭირისუფლები უნდა გაჩენოდა, ახალ წევრთა დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ გამგეობის სახით.

კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ვ. ბაქრაძე, მდივნათ ე. წულაძე:

ამხ. თ. ჩახვაძე აცნობს კრებას, კოოპერატივის ოლქის უმაღლეს მთავრობის მიერ კავშირისათვის გადაცემას. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ცდა, ბათომის საქართველოს ხელში გადაცემის შემდეგ მოსულ ახალმოსამსახურეებისა კოოპერატივის წევრათ ჩაწერის უშედეგოთ ჩაიარა—მათ უარი უთხრეს მიღებაზე. ამ ხანებში, უმაღლესმა მთავრობამ, რომელსაც აფიქრებდა მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, ყურადღება მიაქცია კოოპერატივს და განიზრახა სწორეთ ამ კოოპერატივის სახით დახმარებოდა სახელმ. დაწ. მუშა-მოსამსახურეებს. ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარმა გაგზავნა რევიზორი „მოქ. თოფურიძე, რომელსაც დაავალა კოოპერატივის მდგომარეობის ყოველმხრივ გამორკვევა. რევიზიის დასრულების შემდეგ საგანგებო კომისარმა მოიწვია სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა და განუცხადა, რომ მათ ევალებათ კოოპერატივის ახალი წევრების საწერი და დაჩქარებით 5 ოქტომბრისთვის კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრების მოწვევა, რომელმაც უნდა აირჩიოს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობას და სარევიზიო კომისიას საგანგებო კომისარის მიერ კოოპერატივის რევიზიისათვის გაგზავნილ პირთან ერთად ძველი გამგეობის თანდასწრებით ევალებათ ჩაიბაროს კოოპერატივი და ეაჭრობა დაიწყოს. თავის მხრივ საგანგებო კომისარი დაპირდა გამგეობას კოოპერატივისათვის საჭირო ნივთიერ დახმარებას და კრედიტის გახსნას.

ამის შემდეგ სიტყვას ამბობს მოქ. თოფურიძე, რომელმაც საგანგებო კომისარის დავალებით კოოპერატივს რევიზია მოახდინა. მის მიერ შედგენილ ბალანსიდან ირკვევა, რომ 17 სექტემბრისათვის კოოპერატივს 627.777 მ. 30 კ. ზარალი აქვს.

ძველი გამგეობის წევრი ლაზარევი მოახსენებს კრებას, რომ კოოპერატივს 1920 წლისათვის სარგებელი ქონდა 6—7 განმავლობაში ამდენ ზარალს ვაჭრობა არ მოგვცემდა ის ეკამათება მოქ. თოფურიძეს და ამბობს, რომ ბალანსის შედგენის დროს ის ხელმძღვანელობდა საქონლის შეძენის ღირებულებით და არა ყიდვითი ღირებულებითო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფასებს, რომლებიც ზოგიერ საქონელზე არის ბათომის მომხმარებელთა საზოგადოების კოოპერატივში, მივიღებთ ზარალს კი არა რამდენიმე მილიონ სარგებელსო.

საზოგადო კრება ავალებს ახალგამგეობას და სარევიზიო კომისიას გამოარკვიოს კოოპერატივის ნამდვილი მდგომარეობა.

ამის შემდეგ არჩეული იქმნა გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში შედიან: 1) თ. ჩახვაძე, 2) ვ. ბაქრაძე, 3) ერისთავი, 4) გ. ჩიქოვანი და 5) დ. იმნაიშვილი.

მათი კანდიდატები: 1) ნ. ჯაყელი, 2) ნ. სულაბერიძე და 3) ჩ. კვილაძე.

სარევიზიო კომისიაში:—1) კუბლაშვილი, 2) ცერცვაძე და 3) გ. ლორთქიფანიძე.

კანდიდატებათ: 1) ე. წულაძე და ჩაჩავა.

საზოგადო კრებამ დაამტკიცა კოოპერატივის სახელწოდებათ „სხივი".

დამსწრე.

მუშათა ცხოვრება.

ხაზინის და გადას. ინსპექტორის მოხელე-მოსამსახურეთა კრება.

შაბათს 2 ოქტომბერს მოხდა კრება ხაზინის და გადას. ინსპექ. მოხელე-მოსამსახურეთა, სადაც იყო გასარჩევი სხვა და სხვა საკითხები, ბოლოს მოხდა გამგეობის გადარჩევა და აირჩიეს ახლები. კრებამ გადასწყვიტა შევიდეს ბათომის პროფესიონალურ კავშირში და არა ქუთაისის. გამოითქვა სურვილი ახლად გახსნილ კოოპერატივში წევრებად ჩაწერის.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ კრებას, რაღაც არა ენერგიულათ ეკამათებიან. ზოგიერთნი გაიძახოდნენ „მალე გაათავეთ", მაგრამ ეს ეც უნდა ვსთქვა, რომ კრება უდროოდ დროს, იგი მოწვეული, კრებები საზოგადოთ უნდა გაიმართოს თავის დროს რომ შეძლება მიეცეს დამსწრეს, მოითმინოს და არა იძახოდეს „ალე წავიდეთო", რადგან მოქანცული მუშობით ისე ენერგიულათ ვერ მიეკიდება, როგორც დასვენებული. საჭიროა შემდეგშიაც არ დარჩეს ასეთები.

ა. ორპირელი.

უცხოეთი.

ავსტრია.

ვენაში

„ბერლ. ლოკ. ანცეიგერი" იუწყება, რომ თანახმად ვენის პოლიციის პოლიტიკური განყოფილების სტატისტიკური ცნობებისა, ვენაში 100000 პოლიტიკური ლტოლვილი იმყოფება. უდიდესი ნაწილი ამ ლტოლვილებისა უკრაინელები და რუსებია, ბევრია აგრეთვე გერმანელები, ბერძნები და იტალიელები

გერმანია.

რესპუბლიკა ურუგვაი და გერმანიის ქონება.

„ბერლინერი ლოკ. ანც." ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: ურუგვაის მთავრობა უარი განაცხადა, გერმანიის ქონების კონფისკაციაზე, რის უფლებაც მას საზავო კონფერენციამ მიანიჭა.

განხეთქილება გერმანიის დამოუკიდებლებში.

ბერლინიდან „ყირიმის ვესტ." ატყობინებენ 16 სექტემბრის თარიღით:

აქ გამოდის ახალი გაზეთი „კომუნისტური მიმოხილვა", რომელსაც ხელმძღვანელობენ დეიმაგი, გეგერი და შტეკერი, რომლებიც გამოეყვენ დამოუკიდებლობას და შექმნეს ახალი პარტია, რომელიც დამოუკიდებლებზე მარცხნით სდგას.

სახალხო გვარდიაში.

გვარდიის დღის სასარგებლოთ.

შეგროვილი ნაღდი ფული (გარდა საქონელით შემოწირულისა).

1) პირველი უბნის სია N 6|950—981,000 მანეთი 2) 1-ლი უბანი, სიები NN 6|913,951—250,050 მანეთი. 3) მეორე და მეხუთე უბანის სიები NN 908,952—201,000 მანეთი. თათრული ლირა 2 4) მესამე უბანი ერთი სიით N 910—92,575 მანეთი 5) მეოთხე ლბანი—სიით N 909—44,420 მანეთი. 6) 4-ხე უბანი სიით N 954—43,520 მანეთი. 7) ბარცხანა და გარადოკიდგან სიებით NN 911-959—29,690 მანეთი. 8) ჭაობის და ლიმანმეელეს სიით N 958—17,100 მანეთი. 9) [illegible] ლიმანმა სიით N 912—6,700 მანეთი 10) მეოთხე [illegible] სიით N 907 მანეთი. დამატებით შემოვიდა დ. კობახიძიდგან მოქ. ჩაჩიბაიასაგან მიღებული 50,000 მანეთი.

სულ სიებით შეგროვილი ფულებიდან დღემდე შემოვიდა სალაროში 1,716,055 მ. ერთი მილიონ შვიდას თექვსმეტი ათას ორმოცდათუთხმეტი მანეთი და თათრული ლირა 2.

მესამე უბნიდან ჯერ-ჯეროობით ერთი სია არ დაბრუნებულა.

კერძო შემოწირულება და სხვა და სხვა შემოსავალი:

1) ნესტ. სიხარულიძის შემოწირული 20,000 მან. 2) ქ. ბ. ნინა მდივანის და ქ. ჩოლოყაშვილისმიერ. შმაევსკას თეატრში შეგროვილი 20,778 მანეთი. 3) გრ. კეკენაძიდან, რესტორანებში გაყიდული ყვავილების 13,060 მანეთი. 4) ამბარცუმოვიდგან, ღვინის ფასი 10,000 მ. 5) სტეფ ჩხენკელიდგან გაყიდული ხორცის ფასი 19,950 მანეთი. 6) ნიკო ჯაყელიდგან შემოწირულება 5,000 მანეთი. 7) ვლ. ხაზარაშვილიდგან შემოწირულება 3,000 მანეთი. 8) კოლია მექვაბიშვილიდგან შემოწირულება 2,000 მანეთი. 9) კურცხალიადან და გალდაევიდგან—შემოწირულებანი 2,000 მ. 10) ექიმ ტომოშკინიდგან შემოწირულება 1,000 მანეთი. 11) ბურდღუ ჯღარკავადან—შემოწირულება 500 მანეთი. 12) არს. სარ. შემოწირულება 130 მანეთი 13) პლ. ჟღენტიდან ყველის ფასი 3000 მანეთი. 14) კ ჯორბენაძიდან შემოწირულება—1200 მანეთი. 15) ი. კახიანიდგან წიწილების — 1500 მანეთი. 16) ი. მეგრელიშვილიდან ტორტით შემოწირულება — 2250 მანეთი.

სულ 105,368 მანეთი.

ასხუთი ათას სამას სამოცდა რვა მანეთი.

კომისია განმეორებით სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისთანაც ანგარიშები არის დარჩენილი კეთილ ინებონ შემობრძანდენ შტაბში ანგარიშების შესასწორებლათ, რომ საშვალება მოგვეცეს ანგარიშების დაბოლავების.

კომისიის თავმჯდომარე **ვ. ჯედია**

მდივარე **დ. კუნჭულია.**

გაზეთის ფონდი.

ბ-ნმა კონსტანტინიდიმ გაზეთის ფონდისთვის შემოსწირა 15000 მანეთი.

რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

ნება დართულია. სამხედრო-ცენზურისაგან.

სარედაქციო-კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ დემოკრატიულ გაზეთ

„ბათომის ფურცელ"-ზე

გაზეთი 1 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე ღირს 1000 მანეთი.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ვ. შმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.